ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

წევრ(ებ)ი:

ელისაბედ ბუსხრიკიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ-ქალაქ თბილისის N175 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**200087191**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**თბილისი**
ფაქტობრივი მისამართი	**თბილისი, მუხიანის დასახლება მე-3 მ/რ**
საფოსტო ინდექსი	0167
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi175@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 9 26 0000336662, 19.03.2026 წ.
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 19 მარტის MES 9 26 0000336662 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა სსიპ - ქალაქ თბილისის N175 საჯარო საჯარო სკოლის გეგმიური მონიტორინგი, დოკუმეტების შესწავლით. სკოლის მიერ გადმოგზავნილი იქნა მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტების მიმართებით სათანადო მტკიცებულებები.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა" ქვეპუნქტის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	**აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა**
2634	**2618**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დასკვნის პროექტში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სკოლის მიერ 2026 წლის 28 აპრილის MES 7 26 0000497554 კორესპონდენციით წარმოადგინელი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რჩევებს.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.2.1.2.	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს*	*სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დოკუმენტი საჭიროებს გაუმჯობესებას სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუქნციური მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ეფექტიანი გამოყენება სკოლის განვითარებისა და მართვის პროცესში.* *სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩამოყალიბდეს, როგორც შედეგებზე ორიენტირებული, რეალობაზე დაფუძნებული და მართვადი დოკუმენტი. გასაუმჯობესებელია შემდეგი საკითხები:* ✓ *სკოლის არსებულ მდგომარეობასა და საჭიროებებზე დაფუძნებული ანალიზის გაღრმავება;* ✓ *როგროც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი შესრულების ინდიკატორების დამატება;* ✓ *შედეგებზე ორიენტირებული მართვის გაძლიერება.*
ინდიკატორი N 1.2.1.3.	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას*	*2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის საკმარისად გამოკვეთილი კავშირი ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებთან.*

		სასურველია სკოლამ: ✓ *პრიორიტეტების განსაზღვრისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის, გამოიყენოს თვითშეფასების ანგარიშები, როგორც ძირითადი წყარო;* ✓ *დოკუმენტურად ასახოს თვითშეფასებასა და სამოქმედო გეგმას შორის კავშირი (მაგ: შესაბამისობის ცხრილის ან ანალიზის ფორმით)* ✓ *განსაზღვროს პასუხსიმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითშეფასების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას დაგეგმვის პროცესში.* *ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული მიდგომა გააუმჯობესებს მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას და უზრუნველყოფს სკოლის განვითარების დაგეგმვის რეალურ კავშირს თვითშეფასების შედეგებთან. ამასთან მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა შეამცირებს სუბიექტურობას, გადაწყვეტილებები გახდება გამჭვირვალე და დასაბუთებული.*
ინდიკატორი N 1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური*	*სასურველია სკოლამ გადახედოს სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს და რაოდენობრივთან ერთად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა*

	ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	*შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ რაოდეობრივი შედეგებით და მეტად ასახავდეს მიღწეული შედეგების რეალურ ხარისხს.*
ინდიკატორი N 1.2.2.2	*მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით*	*სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია არ განსაზღვრავს სტრატეგიული განვითარების გეგმის შუალედური მონიტორინგის და შეფასების განხორციელების ვადებს.* *აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას მიეცა რჩევა განსაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო ვადები სკოლის სტრატეგიული გეგმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს პროცესის სისტემურ კონტროლს და შედეგებზე დროულ რეაგირებას.* *2025-2026 წწ სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, მკაფიოდ ვერ პასუხობს კითხვებს, თუ: (ა) რა შეიცვალა სასკოლო საზოგადოებისთვის? (ბ) რა მტკიცებულება გვაქვს ამ ცვლილების დასადასტურებლად? (გ) როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას სკოლა მომავალში?* *სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განახორციელოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას პრობლემის იდენტიფიცირება.*

		სასურველია შესრულების შედეგის გაზომვა ერთდროულად დაეყრდნოს მონაცემთა სხვადასხვა წყაროს (დოკუმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა).
ინდიკატორი N 1.2.2.4	*სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის*	*სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა არსებული პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას, კერძოდ* *სასურველია სკოლამ:* ✓ *განახორციელოს შესრულების შედეგების რეგულაური ანალიზი და მათი შედარება დასახულ მიზნებთან და ინდიკატორებთან.* ✓ *გამოვლენილი მიღწევებისა და გამოწვევების საფუძველზე დაგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებები;* ✓ *მიღებული შედეგები გამოიყენოს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის კორექტირებისთვის;* ✓ *შეფასების შედეგები განხილოს კოლეგიურ ფორმატში (პედაგოგიური საბჭო, სამუშაო ჯგუფი), რაც ხელს შეუწყობს ჩართულობას და საერთო პასუხისმგებლობას.* ✓ *განახორციელოს შესრულების შედეგების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს რესურსების უფრო მიზნობრივ განაწილებას.* *აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სამოქმედო გეგმა არ დარჩეს ფორმალურ დოკუმენტად და რეალურად გახდეს სკოლის მდგრადი განვითარების საფუძველი.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ქ. თბილისის N175 საჯარო სკოლის (შემდგომში- სკოლა) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ასახავს სკოლის როლს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების პროცესში. სკოლის მისია განსაზღვრავს სკოლის პრიორიტეტებს (ფინანსური განათლება, სამეწარმეო უნარები, ციფრული მოქალაქეობა), ხოლო ხედვა ორიენტირებულია გრძელვადიან განვითარებაზე და დეკლარირებულია შემდეგნაირად: ,,ჩვენ ვზრდით, ძლიერი ფინანსური ცოდნითა და უნარებით აღჭურვილ თაობას მომავალ მეწარმეებად და ციფრულ მოქალაქეებად, დემოკრატიულ და მზრუნველ გარემოში“.
სკოლის ხედვაში ასახულია სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ ხედავს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ, კერძოდ სკოლის ხედვაა ,,სწავლების მაღალი ხარისხიდან, სასწავლო პროგრამებიდან, დემოკრატიული, ესთეტიური და მზრუნველი გარემოდან გამომდინარე, ჩვენი სკოლა, მომავალ 7-10 წელიწადში აღზრდის ტექნოლოგიური, ფინანსური და სამეწარმეო ცოდნით აღჭურვილ მოსწავლეებს, რომლებსაც ექნებათ ინოვაციური და თანამედროვე იდეები, ქვეყნისა და მსოფლიოს უკეთესი განვითარებისთვის.“ **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა მისიითა და ხედვით იკვეთება მოსწავლეთა უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების აუცილებლობა, რაც გარანტიას ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებისთვის. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მეთოდოლოგიის წესის შედგენისა და მისი რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სკოლის დირექტორის ბრძანება (MES 7 23 0000724518 20.06.2023 წ) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომლის შემუშავებისათვის სკოლას აქვს ჩატარებული გარკვეული სამუშაოები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით იკვეთება, რომ სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი ჩართულია სკოლის ფილოსოფიის შემუშავების საკითხში. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლამ წარმოადგინა მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება (N2-118 03.10.2023), სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის თანახმად სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება ხდება სკოლის წინაშე არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, სკოლის დირექცია შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიული მიზნების სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს აღნიშნულის სკოლის სამეურვეო საბჭოზე განხილვასა და უკუკავშირის შეგროვებას. უკუკავშირის

საფუძველზე ხდება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების საბოლოო რედაქციის შემუშავება. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს მის საჯაროდ ხელმისაწყვდომობას. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები;
- მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა.
- სკოლის ვებგვერდი (skolebi.emis.ge)

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. წარმოდგენილი დოკუმენტით, იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები, მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. **ინდიკატორის მითხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, (2023 - 2030 წწ), რომელიც მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მიღწევის გზებს. სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, კერძოდ, განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.

სტრატეგიული გეგმა თანხვედრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან და დგინდება აღნიშნულ დოკუმენტებთან შესაბამისობა. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დოკუმენტი საჭიროებს გაუმჯობესებას სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუქნციური მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ეფექტიანი გამოყენება სკოლის განვითარებისა და მართვის პროცესში.

სასურველია სტრატეგიული განვითარების გეგმა ჩამოყალიბდეს, როგორც შედეგებზე ორიენტირებული, რეალობაზე დაფუძნებული და მართვადი დოკუმენტი. გასაუმჯობესებელია შემდეგი საკითხები:

- ✓ სკოლის არსებულ მდგომარეობასა და საჭიროებებზე დაფუძნებული ანალიზის გაღრმავება;
- ✓ როგროც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი შესრულების ინდიკატორების დამატება;
- ✓ შედეგებზე ორიენტირებული მართვის გაძლიერება.

ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2025-2026 წწ), რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სამოქმედო გეგმაში თავს იყრის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესრულებადი. სამოქმედო გეგმა ემთხვევა სასწავლო წელს. თუმცა, სამოქმედო გეგმა სუსტად არის დაკავშირებული თვითშეფასებასთან.

სტანდარტის ინდიკატორის მოთხოვნის თანახმად, სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთი მხრივ უნდა ამოვიდეს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო მეორე მხრივ, უნდა ითვალისწინებდეს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს, რადგან თვითშეფასება ძალიან კარგად ავლენს იმ გამოწვევებს, რომლებიც მიმდინარე პერიოდში დგას სკოლის წინაშე.

2024-2025 (განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე) და 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმების ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ სამოქმედო გეგმაში არ არის საკმარისად გამოკვეთილი კავშირი ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებთან. **სასურველია სკოლამ:**

ა) პრიორიტეტების განსაზღვრისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის, გამოიყენოს თვითშეფასების ანგარიშები, როგორც ძირითადი წყარო;

ბ) დოკუმენტურად ასახოს თვითშეფასებასა და სამოქმედო გეგმას შორის კავშირი (მაგ: შესაბამისობის ცხრილის ან ანალიზის ფორმით)

გ) განსაზღვროს პასუხსიმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითშეფასების შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას დაგეგმვის პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული მიდგომა გააძლიერებს მონაცემებზე დაფუძნებულ მართვას და უზრუნველყოფს სკოლის განვითარების დაგეგმვის რეალურ კავშირს თვითშეფასების შედეგებთან. ამასთან მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომა შეამცირებს სუბიექტურობას, გადაწყვეტილებები გახდება გამჭვირვალე და დასაბუთებული. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში ასახულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში, მეტწილად მოცემულია შესრულების რაოდენობრივი ინდიკატორები, აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია თითოეულ აქტივობას მიეთითოს კონკრეტული ვერიფიკაციის წყარო. შესრულების ინდიკატორები უნდა უზრუნველყოფდეს, სამოქმედო გეგმის ეფექტურობის გაზომვას.

სკოლას მიეცა რჩევა გადახედოს სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორებს და რაოდენობრივთან ერთად, უფრო ფართოდ გამოიყენოს ხარისხობრივი მაჩვენებელი, რათა შეფასება არ შემოიფარგლოს მხოლოდ რაოდეობრივი შედეგებით და მეტად ასახავდეს მიღწეული შედეგების რეალურ ხარისხს. **ინდიკატორის მოითხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ აღნიშნულ საკითხებს არეგულირებს დოკუმენტის მე-2 და მე-3 თავი რომლის თანახმადაც:
ა) შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამეურვეო საბჭო ან ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი.
ბ) ერთწლიან სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო.
სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურვეო საბჭოს, ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია არ განსაზღვრავს სტრატეგიული გეგმის შუალედური მონიტორინგის და შეფასების განხორციელების ვადებს. (შესაბამისად, ამჟამად სკოლას სტარტეგიული განვითარების გეგმის შესრულების შედეგები შეფასებული არ აქვს)

აღნიშნულიდან გამომდინარე, **სკოლას მიეცა რჩევა** განსაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების მკაფიო ვადები სკოლის სტრატეგიული გეგმის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, რაც ხელს შეუწყობს პროცესის სისტემურ კონტროლს და შედეგებზე დროულ რეაგირებას.

სკოლას განხორციელებული აქვს 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება (პირველი სემესტრი). წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში.

2025-2026 წწ სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია, მკაფიოდ ვერ პასუხობს კითხვებს, თუ: (ა) რა შეიცვალა სასკოლო საზოგადოებისთვის? (ბ) რა მტკიცებულება გვაქვს ამ ცვლილების დასადასტურებლად? (გ) როგორ გამოიყენებს ამ გამოცდილებას სკოლა მომავალში?

მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მხრივ გასაუმჯობესებელია:

- ✓ ვადების განსაზღვრა;
- ✓ მონაცემთა მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობა;
- ✓ შედეგების ანალიტიკური გამოყენება.

სკოლის წარმარტება მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია სწორ და თანმიმდევრულ დაგეგმვასა და მისი შესრულების შეფასების შესაძლებლობაზე. აღნიშნული პროცესი აძლიერებს და ავითარებს სკოლას, როგორც ინსტიტუციას, უქმნის მეტ შესაძლებლობას მოსწავლეებს, მასწავლებლებს, სასკოლო საზოგადოების ყველა წარმომდგენელს.

სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტური მონიტორინგი და შეფასება კი სკოლას აძლევს შესაძლებლობას, მომავალი წლის სამოქმედო გეგმა გახადოს უფრო მეტად გაზომვადი და შედეგებზე ორიენტირებული.
სკოლას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი განახორციელოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას პრობლემის იდენტიფიცირება. სასურველია შესრულების შედეგის გაზომვა ერთდროულად დაეყრდნოს მონაცემთა სხვადასხვა წყაროს (დოკუმენტი, დაკვირვება, გამოკითხვა). **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

როგორც ზემოთ აღინიშნა, სკოლის მიერ სტრატეგიული განვითარების გეგმის შეფასება ამჟამად განხორციელებული არ არის. 2025-2026 წწ სამოქმედო გეგმების განხორციელების შუალედური შედეგები არის საჯარო, კერძოდ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები სკოლას გამოქვეყნებლი აქვს ვებგვერდზე. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში), დასტურდება, რომ სკოლის მიერ სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
თუმცა, სკოლის მიერ დანერგილი პრაქტიკა საჭიროებს გაუმჯობესებას.
სასურველია სკოლამ:
ა) განახორციელოს შესრულების შედეგების რეგულაური ანალიზი და მათი შედარება დასახულ მიზნებთან და ინდიკატორებთან;

ბ) გამოვლენილი მიღწევებისა და გამოწვევების საფუძველზე დაგეგმოს გაუმჯობესების ღონისძიებები;

გ) მიღებული შედეგები გამოიყენოს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის კორექტირებისთვის;

დ) შეფასების შედეგები განხილოს კოლეგიურ ფორმატში (პედაგოგიური საბჭო, სამუშაო ჯგუფი), რაც ხელს შეუწყობს ჩართულობას და საერთო პასუხისმგებლობას.

ე) განახორციელოს შესრულების შედეგების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს რესურსების უფრო მიზნობრივ განაწილებას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სამოქმედო გეგმა არ დარჩეს ფორმალურ დოკუმენტად და რეალურად გახდეს სკოლის მდგრადი განვითარების საფუძველი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ დოკუმენტი;
- სკოლის ვებგვედრი (skolebi.emis.ge);
- სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თარიღი: 01.05.2026 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: